



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ი



KA000086373909017

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 41

07 / აგვისტო / 2017 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2017 წლის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებული მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტებისათვის უსასყიდლოდ გამოიყოს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობაში არსებული შემდეგი შენობა-ნაგებობები:

- ა) ქ. ახმეტაში - ცენტრალური სტადიონი;
- ბ) სოფელ ქისტაურში - სკვერი;
- გ) სოფელ ზემო ხოდაშენში - სტადიონი;
- დ) სოფელ ოჟიოში - სკვერი;
- ე) სოფელ ზემო ალვანში - კულტურის სახლი, კულტურის სახლის ეზო;
- ვ) სოფელ ქვემო ალვანში - კულტურის სახლი, კულტურის სახლის ეზო;
- ზ) სოფელ მატანში - სკვერი;
- თ) სოფელ საკობიანოში - ადმინისტრაციული ერთეულის ყოფილი შენობის ეზო;
- ი) სოფელ დუისში - სტადიონი;
- კ) სოფელ ჯოყოლოში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;
- ლ) სოფელ ხალაწანში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;
- მ) სოფელ კანარისწყალში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;

ნ) სოფელ მადრაანში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;

ო) სოფელ ომალოში (თუშეთი) - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;

განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლი მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით, აგრეთვე გადაეგზავნოს ახმეტის №18 საოლქო საარჩევნო კომისიას.

განკარგულების გასაწვივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ.№41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე



თამარ ყვინიშვილი